სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

11995279632124

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N241477618

რეგისტრაციის თარიღი

05.11.2024 წ

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე
მისამართი: ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16
ტელეფონი: 591 701 115; 322 43 28 70;

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაოთხი წლის ხუთ ნოემბერს მე, ნოტარიუს თამარ ბაქრაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე ქ. თბილისი, ი. პეტრიწის ქ. #16. მომმართა რამაზი ჩინჩალაძემ (დაბ.30.01.1986წელს, პირადი #54001040434, მისამართი: თბილისი ს. დიღომი დავარის ქ. N 29 ბლოკი ა ბ. 15), მან განაცხადა, რომ არის შპს „სოლიდ ბილდინგ"- ის (რეგისტრირებული: 15/02/2016 წელს, ს/ნ 439397298) დირექტორი, შემდგომში წოდებული როგორც "მიმდობი პირი". და სურს მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება, რომლითაც შესაბამის უფლებებს მიანიჭებს ნიკოლოზ კასრაძეს (დაბ.16.11.1992 წელს, პირადი # 01019085889), შემდგომში წოდებული როგორც "მინდობილი პირი". მე შევამოწმე "მიმნდობი პირი"-ს პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, ასევე ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მისი ნების შესაბამისად შევადგინე წინამდებარე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

მინდობილობა

მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს შპს „სოლიდ ბილდინგ"-ის (ს/ნ 439397298) დირექტორის წარმომადგენელი – შპს „სოლიდ ბილდინგ"-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთთან დაკავშირებით, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა, N 18 და 18ა, ს/კ 01.72.14.035.980 ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, იუსტიციის სახლში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და მისდამი დაქვემდებარებულ სამსახურებში. არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურში, განახორციელოს ნებისმიერი პროცედურა, რაც დაკავშირებულია პროექტისა და წითელი ხაზების კორექტირებასთან დაკავშირებით, შეათანხმოს არქიტექტურული სამშენებლო პროექტი, აიღოს მშენებლობის ნებართვა, მოახდინოს შენობა-ნაგებობის ექსპლოატაციაში მიღება, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შემთხვევაში გამოასწოროს ნებისმიერი სახის ხარვეზი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გამოითხოვოს, მიიღოს და წარადგინოს, ელექტრონულად ატვირთოს სათანადო დოკუმენტები, ამონაწერები, ნებართვები, თანხმობები, შეთანხმებები, მიღება ჩაბარების აქტები. გადაიხადოს გადასახადები, ხელი მოაწეროს ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის სახელით და. შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება.

მინდობილობა შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით, რისთვისაც საჭიროა ამ გარიგების სანოტარო წესით გაუქმება.

მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით.

ეს მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს თამარ ბაქრაძის სანოტარო არქივში, ხოლო ორი ეგზემპლარი გადაეცა მიმნდობ პირს.

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში თან ერთვის:

შპს „სოლიდ ბილდინგ"-ის (ს/ნ 439397298) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე 30 (ოცდაათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე - 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დადგ 5,40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, ჯამში: 40.40 ლარი.

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე